ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი გამიჯვნა სისხლისსამართლებრივი ღონისძიებებისგან

მაგისტრანტი: ნიკა ცქვიტაია

ხელმძღვანელი: კახაბერ ურიადმყოფელი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2025

განცხადება

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნიკა ცქვიტაია

23.06.2025

აბსტრაქტი

თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირება გულისხმობს ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ ღონისძიებებს შორის მკაფიო სამართლებრივი საზღვრების დაწესებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული პიროვნების ფუნდამენტური უფლებების დარღვევა და სრულად იყოს უზრუნველყოფილი სამართლიანი სამართალწარმოების პრინციპების დაცვა. მოცემული ნაშრომის ამოსავალი წერტილი სწორედ ამ გამიჯვნის საჭიროებაა და იგი მიზნად ისახავს როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოების საფუძვლიან ანალიზს (ადმინისტრაციული სამართალდარღვევებზე რეაგირების ღონისძიებებსა და სისხლისსამართლებრივ ზომებს შორის შინაარსობრივი და ფუნქციური განსხვავებების დადგენას).

კვლევა ეფუძნება ანალიტიკური მეთოდის გამოყენებასა და ეყრდნობა როგორც სამართლებრივ დოქტრინას, ისე საქართველოს და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკას. ნაშრომში განხილულია სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებათა ტიპოლოგია, გამიჯვნის ძირითადი კრიტერიუმები და ის ხარვეზები, რომლებიც დღეს არსებობს საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. დეტალურადაა შესწავლილი ისეთი ასპექტები, როგორიცაა ღონისძიებების მიზანი, მათი სიმძიმე, პროცედურული გარანტიების ხარისხი და აღნიშნული ზომების გავლენა პიროვნების ძირითად უფლებებზე.

კვლევის შედეგად დასტურდება, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების სისტემა გარკვეულ შემთხვევებში ვერ უზრუნველყოფს მკაფიო გამიჯვნას სისხლისსამართლებრივი რეაგირებისგან, რაც ქმნის ადამიანის უფლებების დარღვევის პოტენციურ რისკს. ნაშრომი აყალიბებს რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია კანონმდებლობის ჰარმონიზაციისკენ, საპროცედურო გარანტიების გაძლიერებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. მიღებული დასკვნები ხელს შეუწყობს

სამართლებრივი პრაქტიკის გაუმჯობესებას და ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენების პროცესში მეტი გამჭვირვალობის და სამართლებრივი პროგნოზირებადობის დამკვიდრებას.

The effective functioning of a modern rule-of-law state requires the establishment of clear legal boundaries between administrative and criminal measures to safeguard fundamental individual rights and ensure full adherence to the principles of fair trial. This thesis takes as its point of departure the pressing need for such differentiation and seeks to provide an in-depth analysis of both Georgian and international legal frameworks to identify the substantive and functional distinctions between responses to administrative offenses and criminal sanctions.

The research employs an analytical methodology and draws on legal doctrine, alongside the jurisprudence of the Georgian courts and the European Court of Human Rights. The thesis explores the typology of legal response measures, key criteria for their differentiation, and existing shortcomings within Georgian legislation and practice. Particular attention is given to factors such as the objectives of the measures, their severity, the scope of procedural safeguards, and their impact on fundamental rights.

The findings reveal that, in certain cases, Georgia's system for addressing administrative offenses does not ensure a sufficiently clear distinction from criminal justice responses, thereby creating potential risks of human rights violations. The thesis formulates recommendations aimed at harmonizing legislation, enhancing procedural guarantees, and ensuring alignment with international standards. The conclusions reached are intended to contribute to the improvement of legal practice and to promote greater transparency and legal predictability in the application of both administrative and criminal measures.